დავით იასონის ძე ანდღულაძე

დავით იასონის ძე ანდღულაძე – ოპერის მომღერალი – სოლისტი, დაიბადა 1895 წლის 7 იანვარს სოფ. ბახვში (მახარაძის რაიონი). მისი მშობლები სოფლის მეურნენი იყვნენ. დაწყებითი განათლება მიიღო ბახვის სოფლის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სასოფლო – სამეურნეო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1914 წელს. 1915 წელს გაწვეულ იქნა ჯარში, როგორც სამხედრო ვალდებული და მსახურობდა 1921 წლამდე. შემდეგ მსახურობდა ბათუმში, აჭარის განათლების სახალ. კომისარიატში – საანგარიშო დარგში. ხმა და სმენა ახალგაზრდობაში აღმოაჩნდა და გაიტაცა სიმღერამ. 1922 წელს ჩაირიცხა იმ ხანად ბათუმში არსებულ პროფესორ ე. ა. ვრონსკის ვოკალურ სტუდიაში. 1924 წელს, სტუდიის დასრულების შემდეგ მეოწყო სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვოკალურ ფაკულტეტზე იმავე პროფესორ ფრონსკის კლასში და დაასრულა 1925 წელს. 1925 წელს მიღებულ იქნა მსახიობად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეტრში. 1926 წლის 12 თებერვალს მოეწყო მისი პირველი, სადებიუტო გამოსვლა, იმღერა რიჩარდის პარტია ვერდის ოპერაში "ბალ-მასკარადი". ამავე დროს მუშაობდა კ. მარჯანიშვილის საოპერო სტუდიაში, სადაც დაიდგა ქართულ ენაზე ლეონკოვალოს ოპერა – "პაიაცები"(ჯამბაზები) და იმღერა კანიოს პარტია. 1926 წ. იმღერა პარტიები: აბესალომი ("აბესალომი და ეთერი"), როდომეს ("აიდა"), კავარადოსი ("ტოსკა"). 1927 მიღებულ იქნა მსახიობ-სოლისტად მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრში, სადაც იმუშავა 1929 წლამდე და იმღერა შემდეგ პარტიები: ლევკო ("მაისის ღამე" რისმკი-კორსიკოვი), გრიგორი ("ბორის გადუნოვი" მუსორგსკი), დუდოლფი ("ბოგემა" პუჩინი).

1929 წ. ისევ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაბრუნდა, სადაც იმუშავა 1933 წლამდე და გარდა ზემოთ ხსენებულისა იმღერა შემდეგი პარტიები: შოთა ("თქმულება შოთა რუსთაველზე"), სამსონი ("სამსონი და დალილა"), პინკერტონი ("ჩიო-ჩიო-სან"), გერმანა ("პიკის ქალი"), დონ-ხოსე ("კარმენ"), არნოლდ ("ვილჰელმ ტელი"), რაულ ("ჰუგენოტები"), გოდუნა ("რღვევა"). 1933 წლის შემოდგომიდან მოწვეულ მსახიობად მისკოვის დიდ თეატრში, სადაც იმღერა ოპერებში "ტუბადური" (მანრიკო), "აიდა", "კარმენი".

1935 წელს კვლავ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო. აქ მან თავის რეპერტუარი კიდევ მრავალი ახალი პარტიით გაამდიდრა, მან იმღერა: მალხაზი ("დაისი"), ილია ("დეპიტატი"), მატუშენკო

("ჯავსნოსანი პატიომკინი"), ტარიელი ("თქმულება ტარიელისა"), ოტელო ("ოტელო"), გრიგორი ("წყნარი დონი").

1945 წ. დაინიშნა თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად – შეთავსებით.

1946 წ. მიღებულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრად.

1947 წ. მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურიატის სახელწოდება ტარიელის პარტიის შესრულებაში.

1936 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ დამადასტურებელი არტისტის სახელწოდება, 1943 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სახელწოდება, ხოლო 1950 წელს სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება.

ასევე დაჯილდოებულია: შრომის წითელი დროშის ორდენით – 1937 წ., მედალი "კავკასიის დაცვისათვის" - 1945 წ., ლენინის ორდენი – 1946 წ., მედალი "მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941-1945წ.წ." – 1946 წ. და ლენინის ორდენით – 1950წ.

დავით ანდღულაძის პირადი საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა
ავტობიოგრაფიები

1. დ. ანდღულაძის ავტობიოგრაფია.
პირი: ე.ვ. ვრონსკი; კ. მარჯანიშვილი
1940 წ. 12 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ორი ეგზ. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 4 გვ.

2. დ. ანდღულაძის ავტობიოგრაფია.
პირი: პროფესორი ე.ა. ვრონსკი.
1946 წ. 29 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. შავი მელანი. 3 გვ.

3. დ. ანდღულაძის ავტობიოგრაფია.
პირი: ე.ა. ვრონსკი; კ.ა. მარჯანიშვილი; ი.პ. პავლიაშვილი; მიშველიძე.
1954 წ. 10 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

4. დ. ანდღულაძის ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანგქარი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 4 გვ.

5. დ. ანდღულაძის ავტობიოგრაფია.
პირი: პროფესორი ე.ა. ვრონსკი

უთარიღო. პერგამენტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
6. დ. ანდღულაძის ბიოგრაფიის ნაწილი.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და პირადი საქმე

7. დ. ანდღულაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 25 ივნისი. ავტოგრაფი. ბლანკი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 4 გვ.

8. დ. ანდღულაძის პირადი ფურცელი კადრების აღრიცხვისათვის.
1939 წ. 25 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენაზე. 4 გვ.
9. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1946 წ. 29 აგვისტო. თბილისი. ავტოგრაფი. ბლანკი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე.

10. დ. ანდღულაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1954 წ. 9 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. ბლანკი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 4 გვ.

11. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კანცელარია. დ. ანდღულაძის პირადი საქმე. აკინძული წიგნის სახით.
გვ. 1) ნ. ა. დუგინის წერილი დ. ანდღულაძეს – 1948 წ. 1 ივნისი.
გვ. 2) ბრძანება, დ. ანდღულაძის განთავისუფლების და სხვა სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. 1949 წ. 28 მაისი.
გვ. 3) დ. ანდრულაძის განცხადება დროებით განთავისუფლების შესახებ. 1950 წ. ივნისი. ავტოგრაფი.
გვ. 4) დ. ანდღულაძის განცხადება დროებით განთავისუფლების შესახებ. 1950 წ. 28 ივნისი. ნაბეჭდი.
გვ 5) დ. ანდღულაძის განცხადებაზე, პ. კანდელაკის პასუხი. 1950 წ. 29 ივნისი. ნაბეჭდი.

გვ. 6) დ. მჭედლიძის მიმართვა სსსრ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისადმი ვ.ი. ბაქრაძისადმი დ. ანდღულაძისთვის მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ. 1953 წ. 24 ივნისი. ნაბეჭდი.

გვ. 7) დ. მჭედლიძის მიმართვა გ.დ. ჯავახიშვილისადმი დ. ანდღულაძის პენსიის შესახებ. 1954 წ. 15 ივლისი. ნაბეჭდი.

გვ. 8) ვ.გ. ქიქოძის მიმართვა დ. ანდღულაძისთვის მანქანის გამოყოფის შესახებ. 1954 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი.

გვ. 9) ლ.ს. ქავთარაძის მიმართვა დ. ანდღულაძისთვის საგზურის გამოყოფის შესახებ. 1954 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი.

გვ. 10) დ. ანდღულაძის მილოცვა. ავტოგრაფი. უთარიღო.

განცხადებები, ბრძანებები, ცნობები, დახასიათებები

12. დ. ანდღულაძის განცხადება, სახელწიფო ოპერის დირექტორს, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

1936 წ. 13 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

13. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის (დუდუჩავა) ბრძანება, დ. ანდღულაძის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.

პირი: გ.ბ. კილაძე;

1945 წ. 24 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. შავი მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

14. ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის ბრძანება, დ. ანდღულაძის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს ჩასატარებლად.

პირი: ა. წუწუნავა; შ. აზმაიფარაშვილი; ვ.დ. მჭედლიძე; დ. ჯავრიშვილი; ე. სოხაძე; ნ.ვ. პატარაია; ვ. მგელაძე; შ. ცირდილაძე; ა. ყიფიანი.

1945 წ. 9 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. შავი მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

15. დ. ანდღულაძეზე გაცემული ცნობა, სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შესახებ.

1947 წ. 19 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

16. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული, დ. ანდღულაძის დახასიათება.
1954 წ. 20 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიმართვა საქარტველოს პირველ მდივანს, დ. ანდღულაძის საიუბილეო ღონისძიებასთან დაკავშირებით.
პირი: ვ. მჟავანაძე
1956 წ. მარტი. თბილისი. ბლანკი. ფერადი გერბი. ნაბეჭდი. შავი მელანი. ორ ეგზ. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

18. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება, დ. ანდღულაძის დაჯილდოების შესახებ.
1958 წ. 3 იანვარი. ნაბეჭდი. შავი მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

19. დ. ანდღულაძის მოკლე დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. თბილისი. რუსულ ენაზე. ორ ეგზ. 2 გვ.

20. დ. ანდღულაძის მოკლე დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. დ. ანდღულაძის მოკლე დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. დ. ანდღულაძის მოკლე დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

23. დ. ანდღულაძის წარდგინების ბრძანება, მხატრული ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.
უთარიღო. პერგამენტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

პროგრამები. მოსაწვევი ბარათები

24. დ. ანდღულაძის სადებიუტო გამოსვლის პროგრამა.
პირი: ი. ფალიაშვილი; ც. ურბან; ს. სერგეევი;

1926 წ. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

25. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, დავით ანდღულაძის სახელობის ტენორების პირველი საერთაშორისო კონკურსის პროგრამა.
გვ. 1) კონკურსის პირობები; გვ. 2) პროგრამა; გვ. 3) განცხადება;
1996 წ. ბათუმი. სტამბური. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 2 ეგზ.

26. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მიერ ორგანიზებული საღამო, დავით ანდღულაძის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად. მოსაწვევი ბარათი.
[1975 წ. 12 აპრილი]. ნაბეჭდი. სტამბური. ფერადი. ერთვის ფოტო. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

27. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორატის მიერ ორგანიზებული, დ. ანდღულაძის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოსაწვევი ბარათი.
[1975 წ. 12 აპრილი]. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. 3 გვ.

არქივი დაამუშავა დავით ოყუჯავამ. 2019 წ.